რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

ტელეფონი № 349



ტელეფონი № 349

სავაჭრო სახლი
## ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
### საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°.
(100—5 წ.)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
## ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია ხახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისას
ფასი მასალებისა მეტად იაფია
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава.
(300—4)

## პანცერი და გლუხოვსკი

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).
ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი
### საკერავი მაშინებისა
ნამდვილის ზინგერ-ნაუმანის და სხვა გამოჩენილ სისტემის მაშინები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა. (15—ფ.—13)

ქ. ქუთაისი.
ქართული თეატრი
1896 წ. კვირას, 29 დეკემბერს.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. ავალიშვილისა და ბ. ალექსი-მესხიშვილის, ყიფიანის და გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:
## ჰამლეტ
ტრაგედია 5 მოქმედ. შექსპირისა, თარგმანი ი. მაჩაბლისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩხეიძისა, ივანიძისა და სხვ. ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, გიორგაძე, აბულაძე, ნემო, ტყეშელაშვილი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდის ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.
ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

## სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ა. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
(წ.)

## ექიმი
ყ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

## კბილის ექიმი
ვ. ი. ჰიჰინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის" რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").
26 დეკემბერი.

**პარიზი** დეტაილის სურათი «ჯარის დათვალიერება შალონში», რომელიც ხელმწიფე იმპერატორს უნდა გაეგზავნოს, უკვე გამოფენილია და ხალხს ძლიერ მოსწონს. სხვათა შორის, სურათი ნახეს ბარონმა მორენჰეიმმა და გენერალმა ბუადეფრმა. სურათს ხვალ გაჰგზავნიან რუსეთში. ხვალვე გაჰგზავნიან აგრეთვე ალბომს, რომელშიაც დაწერილია ადრესი ხელმწიფის მიმართ და სია იმ გაზეთებისა, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ ხელის მოწერაში.

**კატარო.** ბერძნების ტაძარს ცეცხლი მოეკიდა. ეკკლესია და მის ახლოს მდებარე ყაზარმები სულ ერთიანად გადიბუგა. ზარალი 65,000 მანათამდეა. კაცი არავინ დაშავებულა.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობას განზრახვა აქვს, ფინანსთა მინისტრად დანიშნოს ბერტრამ-ეფენდი. მინისტრის თანაშემწედ საფრანგეთი თავის მხრივ რამბერს ასახელებს.

**სტამბოლი.** ელჩებმა კვლავ სთხოვეს ოსმალეთის მთავრობას, ყველა

დაპატიმრებული სომხები გაანთავისუფლეს.

ამ დღეებში ბევრი ოსმალელი დააპატიმრეს.

**ბომბეი.** ორშაბათს ჭირით ავად გახდა 91 კაცი, გარდაიცვალა 54. ჯემსეტსის სამკურნალოს უფროსი ექიმი მონსერი, რომელიც იკვლევდა ამ სენს, დღეს გარდაიცვალა. ხალხი გაიხიზნა ბომბეიდგან, აქამდე ქალაქი მიატოვა 325,000 კაცმა.

# ახალი ამბავი

⁂ **ახალი ამხანაგობა ქართულ წიგნების გამომცემელთა.** ქართველ საზოგადოებას ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ: მომავალ ახალ წლიდან ჩვენ გვემატება კიდევ ერთი ქართულ წიგნების გამომცემი ამხანაგობა, რომელსაც ეწოდების „ახალი მკითხველი“.

«ამხანაგობას“ მიზნად აქვს გამოსცეს სახალხო სამეცნიერო წიგნები და აგრეთვე ბელეტრისტული, და პოეტური ნაწარმოები... მომავალში ამხანაგობა, თუ შესაძლოდ სცნობს, გამოსცემს სალიტერატურო კრებულს ან ჟურნალს».

ეს ამხანაგობა სულ სხვა, განსაკუთრებითი, პირობებზე არის აშენებული, ვინემ ამგვარივე სხვა ამხანაგობანი ჩვენში: ყველა წევრი იმ ამხანაგობისა მუქთად მიიღებს ამხანაგობის მიერ გამოცემულ წიგნებს. ვისაც სურს ამხანაგობის წევრად გახდეს, უნდა შეიტანოს ამხანაგობის კასაში ორი თუმანი ერთბაშათ, ან და სამ-სამი მანათი შვიდი წლის განმავლობაში. ამხანაგობა შეწირულებასაც მიიღებს.

ამხანაგობის საქმეებს განაგებს საზოგადო კრებისაგან სამი წლის ვადით არჩეული სამი ორგანო: გამგეობა, რომელიც შესდგება მართველისა და მდივნისაგან და რომელთაც ამხანაგობისაგან ჯამაგირი ენიშნებათ; სარედაქციო კომისია (სამი კაცი), რომელიც გამოსაცემ წიგნებს სინჯავს და სარევიზიო კომისია (სამი კაცი), რომელიც თვალ-ყურს ადევნებს გამგეობის მოქმედებას.

ამხანაგობის საზოგადო კრება მოხდება წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს თებერვლისა. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მას.

სრულს გამარჯვებას ვუსურვებთ „ახალ მკითხველს“.

⁂ **ერთი ძველი ხელთ-ნაწერის გამო.** ტფილისის სიონის საკრებულო ტაძართან არსებულს საეკლესიო საარქეოლოგიო მუზეუმში ინახება ხელთ-ნაწერი მე-XIII საუკუნისა, ესრედ წოდებული „სჯულის კანონი“, („ნომოკანონი“) რომელიც შეიცავს თვის შორის რუის-ურბნისის კრების დადგენილებათა. ეს კრება მოწვეულია წმ. მეფის დავით აღმაშენებლის მიერ—(† 1125) 1103 წელსა. ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს ბ. ილ. ფერაძეს ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსისათვის მიურთმევია თხოვნა, რათა ეს ხელთ-ნაწერი მიეცეს მას გადასაშინჯად. ბ-ნი ფერაძე ამ ჟამად ამ კრების დადგენილებითა იკვლევს ისტორიულის და საეკლესიო კანონმდებლობის მხრით და სურს წარადგინოს მაგისტრის ხარისხის მისაღებად.

⁂ **ახალი საზოგადოება.** ჩვენ შევიტყეთ, რომ არსდება ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტი მამა სერაფიმის თავმჯდომარეობით „სასულიერო განათლების“ საზოგადოება, რომლის მიზანი, სხვათა შორის, იქნება მდაბიო ხალხს უკითხოს სარწმუნოებრივის და ზნეობრივის შინაარსის მოძღვრებანი. საზოგადოება კითხვას ქართულ ენაზედაც გამართავს. წესდება ზემოხსენებულს „სასულიერო განათლების“ საზოგადოებისა ამ მოკლე ხანში წარედგინება ყოვლად უსამღვდელოესს ექსარხოსს განსახილველად და დასამტკიცებლად.

⁂ **სამხედრო მუსიკა საბადოსნო სკოლაში.** ჩვენ გვატყობინებენ ფრიად სასიამოვნო ამბავს. ტფილისის საბადოსნო სკოლის მოწაფეებს, რომელთა შორის მრავალი ქართველებიც არიან, ურთიერთ შორის შეუგროვებიათ რაოდენიმე თანხა და საერთოდ შეუგნიათ თითქმის ყველა იარაღები სამხედრო მუსიკისათვის და სწავლას თურმე იანვრიდან შეუდგებიან კიდეც. აღვნიშნავთ რა ამ სასიამოვნო ამბავს, ვუსურვებთ ახალგაზდა მოწაფეებს ხსენებულის სკოლისას სრულს წარმატებას მუსიკის შესწავლაში.

⁂ **შეცდომის შესწორება.** ჩვენ გაზეთში № 65 ქუთაისიდან კერძო დეპეშაში მოხსენებულ იყო, რომ თავადი წულუკიძის ასული და მისი მომტაცებელნი შეიპყრო ქუთაისის პოლიცმეისტერმა ბ-ნმა სვიმონოვმაო; როგორც აღმოჩნდა და როგორც გუშინდელ ჩვენ კორესპოდენციაშია მოხსენებული, ხსენებულნი პირნი შეუპყრია ოჩამჩირის ბოქაულს ბ-ნ შუბინს, ხოლო ბ-ნი სვიმონოვი იმავ დროს აფხაზეთის ტყეში ყოფილა.

⁂ **გორი. პროგიმნაზიის წლიური აქტი.** 22 დეკემბერს აკურთხეს ახალი შენობა გორის პროგიმნაზიისა და შემდეგ მოხდა წლიური აქტი. აქტსა და კურთხევას მრავალი მოხელე და ხალხი დაესწრო.

ანგარიშიდგან სჩანს, რომ ამ ჟამად გორის პროგიმნაზიაში 185 მოწაფე ქალია. ამათში 122 ქართველი, 30 რუსი, 29 სომეხი და სხვა-და-სხვა ტომისა 4.

⁂ **უმადურობა.** ამ დღეებში 9 ნაწილის პოლიციის კარებ წინ ერთმა ქალაქელმა დედაკაცმა თეკლე პაპუიაშვილისამ 3,000 მანათი იპოვა. ფული ხუთ ალაგას ლაქა დაკრულ კონვერტში იდო. დედაკაცმა ხელში აიღო ნაპოვნი თუ არა, მიაფრინდა გამწარებული მანდილოსანი, მდიდრულად ჩაცმული და ქართულ თავსახურავიანი და შეჰკივლა: «ჩემია, შენი ჭირიმე... ეს არის ახლა დავკარგე სამასი თუმანიო. მპოვნელმაც აიღო და პატრონს ჩააბარა დანაკარგი. წარმოიდგინეთ, არაფერი მისცა ამდენის ფულისაგან საცოდავ დედაკაცს და არ უთხრა: „აჰა, დედი, გამომართვი, საშობაოდ შვილები გაახარეო». პირდაღებული დედაკაცი მაშინღა მოვიდა გონს, როცა უმადური მანდილოსანი თავიდგან მოეფარა. ჯერ ასეთი უმადურობა გაგონებითაც არ გაგვიგონია. მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი: „სიკეთისათვის სიკეთე ვის დამართნიაო“?!.

⁂ **მუშების დასაჩუქრება სადღესასწავლოდ.** ნ. ბოზარჯიანცის ქარხანაში მომუშავენი მადლობას უცხადებენ მიხეილ და ივანე ბოზარჯიანებს იმ შემწეობისათვის, რომელიც აღმოუჩენიათ მათ სადღესასწავლოდ მათსავე ქარხანაში მომუშავეთათვის. კარგი იქნება, რომ სხვა ქარხნების პატრონებიც მიბაძავდნენ ხსენებულ პირთა მაგალითს და ცოტათი მაინც შეეწეოდნენ ხოლმე საბედნიეროთ იმათ, რომელთა გამუდმებულის შრომით და ჯაფით დღე დღეზე მდიდრდებიან და ფულს იგებინ.

⁂ **დაგვიანებული პასუხი.** ჩვენ მივიღეთ პ. კარბელაშვილისაგან შემდეგი წერილი: „გაზეთ ცნობ. ფურცლის“ მე-20 №-ში, ამას წინათ მითხრეს, რაღაც დანაშაულს გაბრალებენო. ეხლა წავიკითხე, საქმე რაშიაც ყოფილა. თურმე ნუ იტყვით, საშიში ყოფილა კეთილის საქმის ხელის მომართვა! მართალია 1889 წ. ზაფხულში ჩემთან მობრძანდა ბ. ზ. ჩხიკვაძე (თვე და დღე არ მახსოვს), რაღაც კილოები მამღერა და დაიწერა თავისთვის. ვგონებ მაშინვე, თუ წინა წელიწადს იყო ჩემთან ამავე აზრით ბ. ა. ბენაშვილი. ამ საქმისთვინვე დიდხანს დავიარებოდი ბ. იპოლიტოვ-ივანოვთან. ეხლა ვიკითხოთ: ამათ ყველამ თავისი დანაშაული მე უნდა მაბრალონ? ამისთანა ოინი გაგონილა! იმისი არ იყვეს: ცხვარი დაკლეს, ზედ წამაკლეს, ძროხა დაკლეს, ზედ წამაკლესო,—სწორედ ისეა ჩემი საქმე! ბიჭო, მე რო „ღვთის წყალობა“ გიმღერო და შენ „ღვთის ცეცხლი“ ჩაწერო, ერთი მითხარ—მე რა შუაში ვარ? თვით ბ. იპპოლიტოვ-ივანოვიც ვერ გადაურჩა მაგგვარ შეცდომებს ქართული საგალობლების წერაში და ბ. ჩხიკვაძეს გაჰკვირვებია თვისი შეცდომა. ეს კოკა და ეს კოდაო, ნათქვამია: 15 წლისა ვიყავ, როცა „ღმერთო, ღმერთო“ დავისწავლე, ე. ი. 1871 წ. და დღესაც მახსოვს, ვგონებ ჯერ მეხსიერება არა მღალატობს! სხვა რაღა? სხვა ისა, რომ... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!..

⁂ **შეწირულობა.** ჯვარცმის სკოლის მასწავლებელი სილოვან წაქაძე მადლობას უძღვნის ბ-ნ მიხეილ ოქროპირისძე ქლენტს, რომელსაც შეუწირავს სკოლის სასარგებლოდ ოთხი სკამი, ერთი მაგიდა და ერთიც ღვთის მშობლის ხატი.

⁂ **ქუთაისი. უსინათლოდ შეწუხებულნი.** ნათქვამია: «უსამართლობამ პალიასტომი დააქციაო“; ქალაქის გამგეობა ყოველ დღე უწყებას გვიგზავნის, სახლებზე დანიშნული საქალაქო გადასახადი მოგვეცითო და იმას ყურადღებას არ აქცევენ, რომ ამ ხალხს ქუჩებში ფარნების დადგმა და ღამით განათება სჭირიაო! არ იფიქროთ კი, რომ ქუთაისის ყველა ქუჩებზე ვამბობდეთ. საზოგადოთ ქუჩები ყველგან კარგათ არის განათებული, მაგრამ არქიელის გორაზე მცხოვრებნი, ცაცხვებიდან შესახვევი ქუჩა ვიდრე გაბაშვილის ქუჩამდე სრულიად მოკლებულია ამ უსაჭიროეს ბედნიერებას! ამ ათი წლის წინად ერთი ფანარი დაუდგამს ვიღაც მადლიანს დავით ლორთქიფანიძის ალაყაფის კარებთან, თორემ ნახევარი ვერსის მანძილზე სრულიად ფანარი არ მოიძევა! ღამე გავლა ყოვლად შეუძლებელია ამ ქუჩაზე, განსაკუთრებით თუ ნაწვიმარიც არის. დიდი ტალახი იცის და ეტლიც მობრუნებას ვერ ახერხებს ქუჩის სივიწროესა გამო! ქალაქის გამგეობა ვალდებულია წინადადება მისცეს მცხოვრებთ ქუჩის გაგანიერების შესახებ, მაგრამ ჩვენ განა ამ ყურადღების ღირსი ვართ?!. ამ საგანზე თვითონ ჩვენ ვითხოვეთ წერილებით და მრავალგზის სიტყვიერადაც. ე. ი. ფანრების დადგმისა და ქუჩის განათებაზე პლანის აღება, მაგრამ ჯერათაც პასუხი არავინ გვაღირსა. გამგეობის წევრთ „კიო და ორშაბათს უსათუოდო“ არ გამოილია და ეს ბედნიერი ორშაბათი წლის 52 კვირა როდის გამოერევა, რომ ჩვენს თხოვნას დასასრული მიეცეს, არ ვიცით. საზოგადოებიდგან მინდობილების აღმასრულებელს, ანუ უკეთ ვსთქვათ,—მოსამართლეს კაცთან რაიმე თხოვნის შესახებ ტყვილი არ ეთქმის. კანონიერ თხოვნას „ჰო» უნდა და უკანონოს „არა»; ვადა უნდა და იმ ვადაზე ასრულება; ვადის დანიშვნა კი მოსამართლის

ნებაა, როდისაც დაჰინიშნავს. ეხლა ბ. ქალაქის თავს ლ. ლოლუას მივართვით თხოვნა ფანრების და გზის შესახებ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბ. ქალაქის თავი ამ ჩვენს კანონიერს თხოვნას არ დასტოვებს უყურადღებოდ.

*** **კავკავი. ნოქრების და მოსამსახურეთა მდგომარეობა კვირა უქმე დღეებში.** დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კავკავში, როგორც სხვა კეთილ განწყობილს ქალაქებში კვირაობით ნოქრებს თავისუფლება ეძლევათ. ეს უფლება სავალდებულო უნდა იყოს ყველა ჯურის ვაჭართათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას და კვირაობითაც ისე იმსახურებენ ბიჭებს, მომეტებულად სარდაფებში, როგორც სხვა დღეს. ზოგს ქართველსა და სომხის ბიჭებსაც, რომლებიც წინად, კვირაობით, ქართულ სასწავლებელში დადიოდნენ საკვირაო სკოლაში, თავი დაუნებებიათ სწავლისათვის მხოლოდ იმის გამო, რომ მათ უფროსებს ნება არ მიუციათ სკოლაში სიარულისა, სადაც მთელი კვირის დაუსვენებელის შრომის შემდეგ შეძლებოდათ რამდენიმე საათი შეეწირათ სწავლა-განათლების შეძენისათვის. ეს გარემოება ფრიად სამწუხაროა. სასურველია, რომ კავკაველმა ვაჭრებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და არ აღუკრძალონ თავიანთ ბიჭებს კვირაობით სკოლაში სიარული მაინც.

*** **სად. გორი. აშკარა მკვლელობა.** გორის სადგურზე შობას საღამოს ექვს საათზე მეტად საზარელი მკვლელობა მოხდა. სადგურის ბაქანზე ამოვარდნენ გორიდან ორი შეიარაღებული კაცი, აზნაური ვლადიმერ სიმონისძე ფანიევი და კიკნაძე. ერთმა რამდენჯერმე გაისროლა რევოლვერი და ყველას თვალწინ მოჰკლა მცხოვრები სოფელ ქალისა თავადი ნიკოლოზ ივანესძე ამილახვარი. მკვლელები მყისვე გაიქცნენ გორისაკენ და მიიმალნენ. ეს ამბავი სადგურის უფროსმა და ჟანდარმმა მაშინათვე გორის მაზრის უფროს თავ. რ. ერისთავს აცნობეს. გამოძიება სწარმოებს. დაწვრილებითს ცნობას შეგატყობინებთ.

*** **გუდამაყარი.** (დუშეთის მაზრა). ასევ ზვავის მსხვერპლზედ. აქ სამწუხარო ის არის, რომ ბუნების კანონმაც, თითქო ცხოვრების მიბაძვით, თავისი მასტიკი რისხვით გასრისა დავრდომილი და სუსტი ადამის შვილი. ეს გახლავსთ უბედური მოხუცი გუდამაყრელი გლეხი ბეწიკა წიკლაური, რომლის სახლს 18 ნოემბერს ამ წლისა ღამე დაეცა მახლობელ მთიდან წამოსული თოვლის ზვავი, ბუმბულივით მოგლიჯა იგი საძირკველიდან და ულმობლად დამარხა თავისის სიმძიმით. სახლში მყოფი ზემოთ ხსენებული ბეწიკა, მისი ერთად-ერთი შვილი 24 წ., ცოლი უკანასკნელისა, ცხრა სული შინაური პირუტყვი და ყოველი ქონება, რაც კი გააჩნდათ ამ საცოდავებს. მხოლოდ ცოლი ბეწიკასი, მოხუცი დედაკაცი, რომელიც თოვლიანობის გამო სხვა სოფელში დარჩა, შემთხვევით, ჩვენებურად რომ ვსთქვათ—«წერით", მოაკლდა ბედნიერებას ერთად სიკვდილისას თავის ქმარ-შვილთან, დალუპვილს ქონებასთან. რამდენიმე დღის შემდეგ საბრალო დედაბერს ზვავიდან ამოუღეს უსულო გვამები მისთვის ძვირ-ფას არსებათა ამ ქვეყანაზედ, რომელთა მიწის მიბარებაც კი ქრისტიანული წესით, რაც აქ მეტად წმიდათ სწამსთ, ჭირად გაუხდა, რადგან ადგილობრივმა მღვდელმა ეს მოვლენა რაღაც ქრისტიანული წესის წინააღმდეგად იცნო,—რასაკვირველია მეტის ერთგულობით სამსახურისათვის... სამაგიეროდ, უფრო ირგიანად მოიქცა ამ შემთხვევაში ადგილობრივი პოლიციის პრისტავი ბ. ფ—ძე, რომელმაც, როგორც გავიგეთ, გზის გახსნის უმალვე, ცნობაში მოიყვანა ეს შემთხვევა, დაწვრილებით აცნობა დუშეთის მაზრის უფროსს და სთხოვა ეშუამდგომლნა უკანასკნელს, ვისთანაც ჯერ არს, რათა რაიმე შემწეობა აღმოეჩინა ბეწიკა წიკლაურის ქვრივისთვის მთავრობას, რომელიც, იმედია, რაიმე ნივთიერს ნუგეშს აღირსებს საბრალო, ყოვლად უმწეო ბუნების მსხვერპლს დედაბერს.

*** **დ. ხაშური. ვაჭრობის დაცემა.** აქაური მოვაჭრენი ძრიელ უჩივიან ვაჭრობის დაცემას. მას შემდეგ, რაც ბორჯომის რკინის გზა გახსნეს, ვაჭრობამ ძრიელ იკლოვო და ეხლა რკინის გზის მოსამსახურეთათვის რომ კერძო სავაჭრო გახსნეს, სულ ერთიანად შეწუხდა ვაჭრობა, რადგან ხაშურში მომეტებულად რკინის გზის მოსამსახურენი აძლევდენ ხეირს მოვაჭრეთაო. დაბაში სულ უკანასკნელი ათას ხუთასი მოსამსახურეთა ოჯახობა ეხლა თავიანთ მაღაზიიდან ვაჭრობენ ყველაფერსო. მომეტებული ვაჭართაგანი დუქნების დაკეტვას აპირებენ და აბარგებას აქედანო.

**სიღნაღი. საქველ-მოქმედო ბალი.** ჩვენ გაზეთში მოხსენებულ იყო, რომ სიღნაღში 2 იანვარს გაიმართება მაზრის უფროსის მეუღლის მოთავეობით ბალი საქალებო სკოლის სასარგებლოდ. ეხლა, როგორც გვატყობინებენ ბალის გამართვა გადაუდვიათ 14 იანვრისათვის წმ. ნინოობის დღისათვის. როგორც გვაცნობებენ დიდ-ძალი ხალხი ემზადება, თურმე, ამ ბალზე და ღმერთმაც ქნას, რადგან, როგორც ვიცით, ამ ბალის შემოსავალზეა დამოკიდებული სკოლის არსებობა.

*** **სიმართლის აღდგენა.** ჩვენ მივიღეთ ნიკოლოზ თავდგირიძისაგან შემდეგი წერილი:

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, მომცეთ საშუალება თქვენის გაზეთის შემწეობით საზოგადოებას მოვახსენო წრფელი სიმართლე ერთის ჩვენებურის საზოგადო საქმის შესახებ: თქვენის გაზეთის „ცნობის ფურცლის" მე-№-60-ში ამოვიკითხე ლანჩხუთიდგან მოწერილი ამბავი 21 ნოემბერს მომხდარ საგანგებო კრების შესახებ; იქ კორესპონდენტი, უკმაყოფილოა ლანჩხუთის კრების შედეგებით, რაღაც ყველასათვის შესამჩნევად საწინააღმდეგოდ იხსენიებს ერთს «ორატორს», რომელსაც დიდი მითითება არ სჭირია, ვინ ყოფილა, რადგანაც ოზურგეთიდგან მხოლოდ ორი კაცი მოსულა სხდომაზედ და ერთი მათგანი, რომელმაც კათედრაზედ ადგილი დაიჭირა, „ორატორი" მე უნდა ვიყო. მე მგონია, ყველასათვის საინტერესოა აქ გაიგოს: რათ იხსენიებს ის „მწერალი" ჩემს სახელს და ჩემს როლს იმ სხდომაზედ რაღაც „ანტაგონისტურის" გრძნობით. ყველა მკითხველთაგანი შეატყობს, რომ ჩვენ: მე და ის კორესპონდენტი *) ერთი აზრისა და ერთი ბანაკისანი არა ვართ. მართალი მოგახსენოთ, იმ წერილზედ პასუხის მიცემას საჭიროდაც არა ვსთვლიდი, რომ მარტო მე შემეხებოდეს პირადათ, მაგრამ, როგორც მკითხველი შეატყობდა, კორესპონდენტი თვით საერთო საქმეს ეხება და ორმოს უთხრის. ყველას მოეხსენება, რომ ჩვენებური საზოგადო საქმე, თუ სადმე კი დაიბადა, უსათუოდ მას უფრო მეტი „კრიტიკოსები"—მოწინააღმდეგენი გაუჩნდებიან, ვინემ უანგაროდ, გულ-დადებით მომხრენი და მშრომელნი. აი ასეთივე, ქართველური შთამომავლობითი, სენი ერგო წილად ჩვენს გურიის ამხანაგობასაც, ეგრედ წოდებულ პირველ „შუამავალს". მიზანი და წადილი ამ ამხანაგობისა მეტად სიმპატიურია: დაეხმაროს ჩვენი სოფლების მწარმოებელ-მშრომელ საზოგადოებას და უშოვოს გასავალი ბაზარი მათ ნაწარმოებს. ყველასათვის საანბანო სიმართლეა ეხლანდელ დროში ის აზრი, რომ ჩვენ, თუ კი გვინდა ჩვენი ხალხის კეთილ-დღეობისთვის ვიზრუნოთ, პირველათვე მისი ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას ვეცადნეთ, ამიტომაც დღეს მართლა ყოველ კუთხეში არსდება ამხანაგობა, საზოგადოება მრავალ ნაირი, რომლებსაც მიზნად აქვთ ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებური ცხოვრება, საზოგადოებური მოღვაწეობა ჯერ კიდევ ჭეროვნად ფეხ-მოკიდებული, შეთვისებული და დამკვიდრებული არ არის, საერთო საქმეში პირადი ინტერესი და კერძო სარგებლობისადმი ტრფიალება მეფობს ხშირად თითო-ოროლა პირების მხრივ. გურიის ამხანაგობას დაწყებისათანავე გაუჩნდენ მოწინააღმდეგენი, რომლებმაც დიდათ დააბრკოლეს მისი გაძლიერების და გავრცელების საქმე, მაგრამ მან მაინც გაუძლო ხიფათს, აიდგა ფეხი და თითქმის მიაღწია მიზანს: მოჰკიდა ხელი პირველად აბრეშუმობის საქმეს, რამდენადაც კი შეიძლებოდა, შეებრძოლა უცხოელ მძარცველ ვაჭრებს: ასწია აბრეშუმის ფასი, შეიძინა უძრავი ქონება და კიდევ მოგება დარჩა მოულოდნელი.

ამ გარემოებამ მალე აღუძრა ზოგიერთ უსაქმოთ „მოხეტიალე" უვარგის წევრებს ჩვენი საზოგადოებისას; იფიქრეს: „ეს არის ვიშოვეთ სარჩო პური" და გაუმაძღარის გრძნობით მიაშურეს ამ გასამღრომ ლუკმას; მაგრამ, როდესაც დაინახეს, რომ ასე ადვილი არ არის მათი მისწრაფების ასრულება, რომ კიდევ არის წრე პატიოსანთა, რომელიც გაურჩევლად არ დაანებებს არავის საზოგადო საქმის მათ სურვილზე „ტრიალს", მაშინ მიმართეს ყოველ-ნაირ თვალთ-მაქცურ საშუალებას: ჩააგონეს ერთი კუთხის ხალხს, რომ თქვენი საქმე იღუპვის, თქვენ ფულებს გართმევენ, ამის მიზეზია ოზურგეთის ინტელიგენცია, რომელსაც „ხალხი არ ენაღვლება, რომელიც მარტო კერძო სარგებლობითა და ინტერესით ხელმძღვანელობს და არიქა თავს უშველეთო: გამოვცვალოთ მათ და თქვენ თითონ, სალხმა, აირჩიეთ ვინმე საქმის გამგეო"; კარგად იცოდნენ ამ „ვაჟბატონებმა" რომ, თუ საქმესთან გაუცნობელ „ბრბოს" დაანებე მოთავეების არჩევა, ის მხოლოდ იმას აირჩევს, ვინც თავისთვის ცდილობს. დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ ვინც ხალხს აშინებს, აფრთხობს, აბულებს რამე კეთილ მიზნით დაარსებულ საქმეს, ვინც სცდილობს ხალხი ჯგუფ-ჯგუფად, ნაწილ-ნაწილად გაჰყოს, იმას ხალხისთვის გული არ შესტკივა, ის არ ზრუნავს მისთვის საკეთილოდ. აქედგან ცოტაოდნად მაინც წარმოიდგენს მკითხველი, რამ დაბადა ასეთი ანტაგონიზმი ჩემსა და იმ კორესპონდენტს შორის, რომელსაც ვერაფრად ეჭაშნიკა ჩემი «ორატორობა» იმის შესახებ, რომ „თუ საზოგადო საქმე რიგიან, კეთილ გზაზედ იქნა დაყენებული, თუ საზოგადო საქმეს ნამდვილი საქმის მცოდნე, ხალხის ერთგული მოთავენი ეყოლება, ის საზოგადო საქმე არასოდეს და არა-

---

*) აქ მე ვეხები მხოლოდ კორესპონდენტს და მის მომხრეთ, რომელთა რიცხვი, ჩემის ანგარიშით, არ გადამეტება სამს კაცს; თუმცა, როგორც რედაქცია გვაუწყებს, ის წერილი ყოფილა ხელ-მოწერილი 37 პირისაგან, რომელიც სრულად გვჯერა, მაგრამ თავის დროს, იმასაც გამოვაქვეყნებ, თუ რა საშუალებით და მოხერხებით მოაწერინეს იმ კორესპონდენციაზე ხელი 37 პირს.

გითარ შემთხვევაში ხალხის სხვა-და-სხვა წრეების და ჯგუფების წინააღმდეგი არ იქნება“ მეთქი. კვრაფრად ესიამოვნა ის ჩემი ხალხისადმი წინადადება, რომელშიაც მე ვურჩევდი მას წარმომადგენლები აერჩიათ, რომლებიც ადგილობრივ ინტერესს, საჭიროებას და მოთხოვნილებას ჯეროვანად დაიცვენ; თორემ თუ ყოველი კუთხის საზოგადოებამ ცალ-ცალკე საქმის მმართველი აირჩიოთ, თვით საქმე აიბნევა და ჩაილუპება-მეთქი. ყოველივე ფლიდ და ცბიერ ადამიანს, როგორც მეფისტოფელს ჯვარის, ისე ეშინია ნამდვილი, წრფელი, სამართლიანი სიტყვისა. მართალი მოგახსენოთ, მე პირველადვე ისე აღშფოთებული ვიყავი ზოგიერთ ხალხის ვითომ და „ერთგულების“ საქციელით, რომ საზოგადოებასთან გულ-გახსნილი ლაპარაკით მინდოდა მომექარვებია ჩემი ჯავრი, მაგრამ დამძლია იმ მოსაზრებამ, რომ მართლა ბუნებით ბოროტს სიტყვით ვერ გაასწორებ და გულ-წრფელ ახალგაზდა მოლაპარაკეს გულს ჩააკუმსავს-მეთქი. ეხლა, რაკი თვითონ იმათ გამომიწვიეს, ვეღარ მოვითმინე“.

ს. მიქელგაბრიელი (ოზურ. მაზრა) მამასახლისის არჩევანი. წელს ზამთარი ადრე გვეწვია და ძალიან დაგვაფიქრა, მაგრამ ისევ მალე გამოიდარა და აქამდი მშვენიერი დღრები იყო, ეხლა კი მოჰყვა ხანგრძლივ წვიმებს და გზები მეტად გაგვიფუჭა, მისვლა-მოსვლა გვიძნელდება დიდ ტალახების გამო.

„ზღვა მაწონათ იქცა, მაგრამ უბედურს კოვზიათაც არ ხვდაო“, ნათქვამია. წრევანდელი კარგ ამინდიანი შემოდგომა და ზამთრის პირი ძალიან მოხერხებული და მარჯვე დრო იყო გზის შესაკეთებლათ, მაგრამ რაღაც გამოურკვეველ მიზეზის გამო ჩვენთვის უსარგებლოდ ჩაიარა წრევანდელმა დარებმა; გზის შეკეთება სკოლის შენობისა და სოფლის სამმართველოს შენობის გაშენება მომავალ გაზაფხულისათვის გადიდვა, თუ მოვესწარით ამას. საზოგადოდ ჩვენში მოსავალი შედარებით წინა წლებთან ძალიან კარგი იყო, მაგრამ ფასი არაფერის არა აქვს. კვირას, 8 დეკემბერს, იყო სოფლის ყრილობა მამასახლისის ასარჩევად პირველ ნაწილის ბოქაულის თანდასწრებით; ძველი მამასახლისი მხოლოდ რამდენსამე პირს სურდა დარჩენილიყო, უმრავლესობა კი ახალს ირჩევდა და ძველზე უკმაყოფილებას აცხადებდა; ამ გარემოებამ გამოიწვია კენჭი და ხალხი აქეთ-იქით აიშალა, და ზოგმა არც კი იცოდა, სად მიდიოდა და ვის აძლევდა კენჭს. ამ დროს ერთმა დაიძახა: კენჭი არ გვინდა, ძველ მამასახლისს კენჭს არ ვუყრით, ახალი უნდა ამოვირჩიოთო... ეს გამოცხადება ბ ნმა ბოქაულმა წინააღმდეგათ ჩასთვალა, გამოუძახა მოლაპარაკეს და მამასახლისს გადასცა სატუსაღებლად. ასე რომ მამასახლისის ამორჩევის მაგიერ, მხოლოდ ოქმი შეუდგინეს ზოგიერთებს, ვითომ და ურჩულობისათვის.

14 დეკემბერს, შაბათს ჩამოვიდა ბ-ნი მაზრის უფროსი და ამის თანდასწრებით ერთ ხმად აირჩიეს მამასახლისად ამავე სოფლის გლეხი ბაგრატ ჯაბუა. ჯაბუა ნასწავლი არ არის, მაგრამ ისეთი მარჯვე და მართალ კაცად არის ნაცნობი საზოგადოებაში და საკმაო შეძლებაც აქვს სხვა აქაურ გლეხებთან შედარებით.

---

⁂ მეგრელი ტფილისში. ერთი მეგრელი ტფილისიდან ჩამოვიდა და ჩვენი სატახტო ქალაქი ქებით ცამდე აიყვანა. რა სახლები, რა სიმდიდრე და დიდება არა ვნახეო. ერთმა ხუმარამ ჰკითხა:

— თეატრში იყავი?

— ვიყავი, როგორ არა, ორჯელ ვიყავ, მაგრამ არავინ დამიხვდა და მერე აღარ წავსულვარო.

—

⁂ ათი სასაცილობა. 1. სასაცილოა კაცი, თუ ქალს ელაპარაკება და ჰგონია, რომ საქმეშია გართული.

—

2. სასაცილოა, თუ ქართველი ბანკის ვალს იღებს და ჰგონია, რომ გადიხდის როდისმე.

—

3. სასაცილოა, თუ კაცი მელორეთ არ ვარგა და ჰგონია, რომ ლიტერატორად-კი ივარგებს.

—

4. სასაცილოა, თუ კაცი მოხუცია და ჰგონია, რომ ახალგაზდა ცოლი არა ჰღალატობს.

—

5. სასაცილოა, თუ ქართველი მწერალია და ჰგონია, რომ მწერლობა პურს აჭმევს.

—

6. სასაცილოა ქართველი არტისტი, თუ ჰგონია, რომ თეატრი ხალხით სავსე იქნება მის ბენეფისზედ.

—

7. სასაცილოა ქართველი, თუ ჰგონია, რომ წვეულ სადილზედ წავა და არ-კი დაითვრება.

—

8. სასაცილოა, თუ კაცი ქართველთ საზოგადოების პირველ კრებაზედ წავა და ჰგონია, რომ კრება შესდგება.

—

9. სასაცილოა, თუ ვინმე „კვალსა“ კითხულობს და ჰგონია, რომ მეცნიერების მორევს ეწაფება.

—

10. სასაცილოა ისიც, ვინც ზემოხსენებულს წაიკითხავს და ღიმილიც არ მოუვა მეცნიერ ტუჩებზედ.

ხუმარა.

---

## რკინის გზის ამბები.

მოიჯარადრეთა საყურადღებოდ. ამიერ კავკასიის რკინის გზის მიმოძრაობის უფროსი ბ. შაიკევიჩი იწვევს მსურველთ მომავალ 1897 წლისათვის აიღონ სადგურებში ბარგებზე მუშაობის საქმე. (грузовыя работы) მსურველებმა თავისი პირობების და ფასების განცხადება უნდა შეიტანონ გზის უფროსის კანცელარიაში 30 დეკემბერს, შუადღემდე წერილებით.

—

ს ა დ. ხ ა შ უ რ ი. 24 დეკემბერს, როდესაც მატარებელი № 3 მოვიდა სადგურზე, უფროსი კონდუქტორი უშანგ გაბუნია გამოვიდა პირველ კლასის ვაგონიდგან და კიბის საფეხურზე დადგა; ამ დროს ფეხი დაუცდა და ხელის მოსაკიდზე დაკოწიალებული მატარებელმა სამ საჟენზედ გაათრია. გაბუნიამ იტკინა ნიკაპი და ფეხებიც გაიფხაჰნა.

—

ს ა დ. ბ ა ქ ო. 23 დეკემბერს, ვაგონების გადაბმის დროს ორი თითი მოგლიჯა ვაგონების ბუფერებმა გადამბმელს ბარკაიას, რომელიც წაიყვანეს ბაქოს რკინის გზის სამკურნალოში.

—

ს ა დ. დ ო ლ ლ ი ა რ ი. 23 დეკემბერს, დილის 9 ს. და 45 წ., 347 ვერსზე, მატარებელი № 47 ორად გაწყდა. ნახევარი დარჩა 347 ვერსზე, რომლისთვის მეორედ გაგზავნეს ორთქლ-მავალი.

—

ს ა დ. გ ა ნ ჯ ა. 23 დეკემბერს, 1 ს. და 30 წ. ღამით, ორთქლ-მავალაში მაზუტის ფეჩში ცეცხლს ანთებდა დეპოს მუშა ნიკ. გალიევი, უეცრად ცეცხლი მოედო, დაეწვა პირის სახე და ხელები. დაშავებული წაიყვანეს ბაქოს რკინის გზის სამკურნალოში.

—

ს ა დ. ს ა ნ გ ა ჩ ა ლ ა. 24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სამუშაო მატარებელი კარიერიდან მომავალი, სადგურ სანგაჩალაში, შემოსავალ ისარზე ტფილისის მხრიდან ლიანდაგიდგან გადავარდა ორთქლ-მავალი და ორი ვაგონი და გზა ამ მატარებელით და ვაგონებით გაიხირა, ამიტომ მოძრაობა შეჩერდა, რადგან მალე არ შეიძლებოდა გზის გაწმენდა, ახალი ლიანდაგი დააგეს და ისე გახსნეს მოძრარბა 25 დეკემბერს, დილის 8 საათზე. სახალხო მატარებელს № 3 დააგვიანდა სანგანჩალიდგან გამოსვლა 7 საათი და 29 წამი. მეორე სახალხო მატარებელს № 4 დააგვიანდა 2 საათი და 26 წამი.

---

## ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადისდილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი №  გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

---

## ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის.

ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადიან, ღამეს ათევს ფასანაურში. მიდიან კავკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კავკავმეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათევს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათევს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათევენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სასხლმწიფო ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის კაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისეა მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.

---


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა 28 დეკემბერს, 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგის იჯარისათვის: იჯარადარმა უნდა მოჰგვაროს ქალაქის ქუჩების მოსარწყავ რაზმს ცხენები მთელის 1897 წლის განმავლობაში.

პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა.

(3—3)

ქართული

გოტიკური ანბანი

ფასი შაურია

ისყიდება ყველა ქართულ წიგნების მაღაზიაში

(4—4)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია